შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური სამმართველოს

ნარკოლოგიური სამმართველოს უფროსს ე. წულაიას

მოქ: ……. ……..

მის: …….

შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა

პოლიციის თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი ვარ საექსპერტო დაწესებულებაში, სადაც კლინიკური ან ლაბორატორიული კვლევის გზით უნდა მოხდეს ნარკოტიკული თრობის ფაქტის დადგენა. გაცნობებთ, რომ კლინიკური კვლევის ფარგლებში წინააღმდეგი ვარ ვუპასუხო იმ შეკითხვებს, რაომლებზეც გაცემული პასუხი შესაძლოა ჩემს წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის მე–8 პუნქტის თანახმად არავინ არ არის ვალდებული მისცესმისი ან იმ ახლობლის წინააღმდეგ ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.მითითებული მუხლისარსებობის პირობებში სრული უფლება მაქვს უარი განვაცხადო იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც გამოყენებული იქნება ჩემს წინააღმდეგ.

ასევეგაცნობებთ, რომ ნებაყოფლობით ვერ გავცემ ლაბორატორიული კვლევის ობოექტს, რამეთუ აღნიშნული წარმოადგენს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევას. საქართველოს კონსტიტუციის მე–20 მუხლის თანახმად ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147–ე მუხლის შესაბამისად ნიმუშის სახით ბიოლოგიური მასალის ნებაყოფლობით აღების შეუძლებლობის შემთხვევაში იგი უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144–ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე გამოტანილი სასამართლოს განჩინების საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოს წარმოებაში არ არსებობსსისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამოთხოვილია სასამართლოს გაჩინება საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისთვის გადაცემის შესახებ, დაუშვებელია საექსპერტო დაწესებულებამ იმოქმედოს ჩემი ნების საწინააღმდეგოდ.ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

გთხოვთ

დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ ჩემს მიმართ დაწყებული (არ დაიწყოთ) ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ფაქტის დადგენის როგორც კლინიკური ისე ლაბორატორიული შემოწმება.

პატივისცემით: ……

თარიღი ……